



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის ივნისში საქართველოს რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 7.2% შეადგინა, წინა თვის 11.6%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2022 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 10.5%-ით გაიზარდა. ფაქტიური და მიმდინარე მონაცემების გათვალისწინებით, 2022 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 9.2%-მდე გაიზარდა საბაზისო სცენარში, წინა 7.6%-დან. აღნიშნულ პროგნოზში მე-4 კვარტალში ვპროგნოზირებთ ზრდის შენელებას გლობალური ზრდის მოსალოდნელი შენელებიდან გამომდინარე. თუმცა, თუ ძლიერი საგარეო შემოდინებების დინამიკა წლის ბოლომდე გაგრძელდა, წლის მე-2 ნახევარში გლობალური ზრდის შენელების მიუხედავად, ოპტიმისტურ სცენარში საქართველოს ეკონომიკურ ზრდას 10.6%-ზე ვპროგნოზირებთ. ივნისში ზრდა დაფიქსირდა მასპინძლობის, ტრანსპორტის, სამთომომპოვებითი მრეწველობის და კომუნიკაციების, ხოლო შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის და უძრავი ქონების დარგებში. (გაეცანით ივნისის თვის ეკონომიკურ მიმოხილვას ამ [დოკუმენტში](#)).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 11.3%-ით გაიზარდა 2022 წლის ივნისში (+1.2% თ/თ), წინა თვის 9.1%-იანი ზრდის შემდეგ, და 43.7 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ ივნისში 18.7% შეადგინა (+2.1% თ/თ), მაისის 18.1%-იანი ზრდის შემდეგ. სექტორების მიხედვით, ივნისში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდა 16.9%-მდე დაჩქარდა, წინა თვის 15.7%-იანი ზრდის შემდეგ, ხოლო საცალო დაკრედიტება წლიურად, უცვლელად, 20.4%-ით გაიზარდა. ამასთან, იპოთეკური სესხების პორტფელის წლიური ზრდა 14.2% იყო ივნისში, წინა თვის 13.9%-იანი ზრდის შემდეგ. 2022 წლის ივნისში სესხების დოლარიზაცია 48.3%-მდე შემცირდა (-4.06პპ წ/წ და -0.39პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხებმა 1.9% (-0.36პპ წ/წ და -0.08პპ თ/თ) შეადგინა.

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების წლიური ზრდა 17.4%-მდე დაჩქარდა 2022 წლის ივნისში, წინა თვეში დაფიქსირებული 13.1%-იანი ზრდის შემდეგ გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით და 38.3 მლრდ ლარი შეადგინა. ვალუტების მიხედვით, ივნისში დაჩქარდა როგორც ლარის, ისე უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიური ზრდა, რომელმაც, შესაბამისად, 16.6% (11.8% წ/წ იყო წინა თვეში) და 17.9% (13.9% იყო წინა თვეში) შეადგინა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით. ამასთან, ივნისში დეპოზიტების დოლარიზაცია 57.9%-მდე შემცირდა (-2.08პპ წ/წ და -0.21პპ თ/თ).


ეკონომიკური ინდიკატორები

	2020	2021
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.8%	10.4%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,849	17,386
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,256	5,015
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.4%	13.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.9	4.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	12.5%	10.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	9.3%	6.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	60.2%	49.5%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი


*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სებ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2022 წლის 26 ივლისს 5-წლიანი 90.0 მლნ ლარის (32.2 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.8-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით, რომელიც 2022 წლის ივნისში გაიმართა, 0.245პპ-ით შემცირდა და 9.832% შეადგინა.


უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2022 წლის 2 აგვისტოს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 80 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2022 წელი

მადიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	140	100	120
1-წელი	145	150	250
2-წელი	500	400	1,060
5-წელი	585	450	3,115
10-წელი	75	25	1,371
სულ	1,445	1,125	5,915


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2022 წლის ივნისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.51%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.50 (+1.08% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 93.64 (-0.07% წინა კვირასთან შედარებით), 10.53%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 84.53 ფასად (+1.07% წინა კვირასთან შედარებით), 7.28%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 85.73 (+2.48% წინა კვირასთან შედარებით), 7.19%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომწვევი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	85.73	7.19	465.76
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	84.53	7.28	486.46
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	100.50	5.51	246.62
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	99.37	11.44	861.45
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-B+/B1	93.64	10.53	759.31
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B-/B1	96.34	9.39	690.04
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	98.62	6.54	366.59
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	96.97	12.12	958.37
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+*/B/-	100.26	7.65	475.51

ადგილობრივი ობლიგაციები


Georgia Real Estate	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	99.97	7.50	n/a
KTW	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	99.75	9.50	n/a
GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.87	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	100.00	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.43	6.75	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	99.44	7.13	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	14.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.96%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora	GEL	28	14.31%	Oct-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	13.89%	Mar-23	-/-/-	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 15.06 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.73% წინა კვირასთან შედარებით და +7.26% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 440 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 14.08 - 15.14 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 68 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 13.80 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +10.58% წინა კვირასთან შედარებით და +6.32% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 115 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 12.40 - 13.84 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 30 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.32 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.32% წინა კვირასთან შედარებით და +7.67% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 92 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.07 - 6.35 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 26 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	15.06	740	3.3%	0.4%	-9.7%	4.30x	3.45x	3.33x	0.97x	0.78x	0.70x
TBC	TBC	GBP	13.80	761	-2.1%	14.0%	-16.4%	4.00x	3.52x	3.19x	0.87x	0.69x	0.59x
Halyk Bank	HSBK	USD	9.33	2,544	-26.7%	-37.9%	-43.5%	2.39x	3.09x	2.64x	0.70x	0.67x	0.58x
Akbank	AKBNK	TRY	8.63	44,876	11.6%	65.6%	19.9%	3.58x	1.31x	2.22x	0.57x	0.56x	0.47x
Garanti	GARAN	TRY	14.52	60,984	23.1%	74.1%	28.8%	4.38x	1.89x	2.66x	0.74x	0.63x	0.59x
Isbank	ISCTR	TRY	5.22	23,490	43.0%	123.1%	61.3%	1.68x	0.86x	0.99x	0.58x	0.49x	0.46x
PKO	PKO	PLN	26.19	32,738	-44.6%	-30.9%	-41.7%	6.77x	6.52x	5.98x	0.87x	1.00x	0.88x
PEKAO	PEO	PLN	73.20	19,213	-44.8%	-22.3%	-40.0%	8.90x	6.57x	6.03x	0.81x	0.89x	0.82x
Millennium	MIL	PLN	3.69	4,476	-55.3%	-23.3%	-55.0%	na	2.53x	2.85x	0.67x	1.10x	0.80x
Mbank	MBK	PLN	220.80	9,359	-51.6%	-30.7%	-49.0%	na	4.09x	4.18x	0.69x	0.81x	0.67x
BRD	BRD	RON	12.92	9,004	-34.1%	-28.2%	-27.0%	6.85x	7.48x	6.97x	0.91x	1.19x	1.11x
Banca Transilvania	TLV	RON	1.97	12,434	-16.0%	-13.2%	-14.4%	6.25x	6.43x	6.07x	1.37x	1.38x	1.34x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	0.0%	0.0%	8.76x	13.93x	10.65x	0.65x	0.78x	0.69x
Komercni	KOMB	CZK	608.00	115,550	-35.6%	-23.9%	-35.0%	9.25x	8.24x	8.32x	0.95x	1.04x	0.99x
საშუალო								5.59x	4.99x	4.72x	0.81x	0.86x	0.76x
მედიანა								5.31x	3.81x	3.75x	0.77x	0.79x	0.70x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.32	295	-3.4%	0.5%	-11.4%	1.79x	na	na	0.40x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.28	483	-1.0%	6.2%	-1.2%	14.85x	na	na	1.01x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	19.87	40,543	31.5%	110.0%	50.2%	3.26x	4.60x	4.24x	0.76x	0.72x	0.57x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	28.20	530	-22.1%	-23.5%	-29.2%	2.80x	na	9.03x	0.74x	1.10x	1.01x
Eurazeo	RF	EUR	69.65	5,518	1.5%	-14.5%	-9.3%	3.49x	na	na	0.86x	0.85x	0.80x
Carlyle Group	CG	USD	38.91	13,865	-19.8%	-22.4%	-29.1%	4.66x	9.48x	8.51x	2.62x	2.14x	2.76x
Wendel SE	MF	EUR	89.65	4,012	-6.1%	-24.2%	-14.9%	3.82x	8.28x	8.18x	1.50x	1.57x	1.37x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.77	1,714	-6.2%	-6.1%	-10.5%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.70	685	-7.4%	5.4%	-15.1%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.30	768	4.9%	21.3%	2.7%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	11.30	781	-13.1%	-9.6%	-21.8%	4.37x	na	na	0.74x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.47	239	8.1%	10.7%	12.3%	1.95x	na	na	0.49x	na	na
საშუალო								4.55x	7.45x	7.49x	1.01x	1.27x	1.30x
მედიანა								3.49x	8.28x	8.34x	0.76x	1.10x	1.01x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაზე.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge